პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 დეკემბერი, კვირა, 1986 წ.
№ 243 (9404) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს სპორტსახკომში

კოლეგიის მორიგ სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის სპორტსმენთა და გუნდების საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებისათვის უკეთ მომზადების საკითხები. სპორტული და მხატვრული ტანვარჯიშის ნაკრები გუნდების მზადებასთან დაკავშირებით კოლეგიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება. ცალკე მსჯელობა გაიმართა თანამედროვე ხუთჭიდში სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდის კანდიდატის ვახტანგ იაგორაშვილის მომავალი ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ.

კოლეგიამ მკაცრი შეფასება მისცა ჭაბუკთა პირველ საკავშირო თამაშებში რესპუბლიკის მძლეოსანთა ნაკრებ გუნდში ასაკობრივი ცენზის დამახინჯებისა და სიყალბის ფაქტებს. მიღებული დადგენილების ვრცელი ტექსტი ჩვენს გაზეთში ცალკე გამოქვეყნდება.

ძალოსნობის დღევანდელი დონე რესპუბლიკაში შემაშფოთებელია და სასწრაფოდ უნდა გატარდეს რადიკალური ღონისძიებები — ასეთი დასკვნა გამოიტანა კოლეგიამ სპორტის ამ სახეობაში შექმნილი მდგომარეობის განხილვისას და მიიღო ვრცელი დადგენილება. ამავე სხდომაზე მიღებულ დადგენილება აკადემიურ ნიჩბოსნობაში საუწყებათაშორისო ოლიმპიური მომზადების ცენტრის, სპორტის ცალკეულ სახეობებში რესპუბლიკის სარეზერვო გუნდების შექმნის შესახებ, მოიწონეს ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნ. გაფრინდაშვილის თაოსნობა მოზარდ მოჭადრაკეებზე ამ სახეობაში საქართველოს სახელოვანი სპორტსმენების შეფობის თაობაზე.

კოლეგიამ მიიღო წინადადება მინიფეხბურთში რაიონებსა და საცხოვრებელ ადგილებს შორის რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარების შესახებ. ამ ღონისძიებას ერთობლივად ჩაატარებენ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის სპორტსახკომი.

კოლეგიის ამ სხდომაზე განიხილეს აგრეთვე რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე გარდაქმნის სხვა აქტუალური საკითხები და მიიღეს შესაბამისი დადგენილებები.

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა თ. ი. ბოსაშვილი საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლის გამო და მადლობა გამოუცხადა ამ პასუხსაგებ პოსტზე მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის.

საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ვ. მ. სიხარულიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

უმასპინძლებს საქართველო

სსრ კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ნაცვლად 1987 წელს ჩატარდება სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები. ამ ასპარეზობას საქართველო უმასპინძლებს. შეჯიბრებები სპორტის ცალკეულ სახეობებში ჩატარდება ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში: თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში, სამტრედიაში, თელავში, საგარეჯოში, სიღნაღში და ლაგოდეხში.

ტელეტაიპი — ეკითხეთ

საჭადრაკო მერიდიანებზე

ბრიუსელში (ბელგია) დიდოსტატთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში VII ტურის შეხვედრები გაიმართა.

გ. კასპაროვი ყაიმზე შეუთანხმდა ვ. კორჩნოის (შვეიცარია), რ. ჰიუბნერმა (გფრ) მოუგო ნ. შორტს (ინგლისი), ჯ. ნანმა (ინგლისი) — ლ. პორტიშს (უნგრეთი).

7 ტურის შემდეგ კასპაროვს 5 ქულა აქვს, შორტს — 4, ჰიუბნერს — 3,5, ნანს, კორჩნოის — 3-3, პორტიშს — 2,5.

ხილვერსიუმში (ჰოლანდია) ა. იუსუპოვისა (სსრ კავშირი) და ი. ტიმანის (ჰოლანდია) მატჩის მეხუთე პარტია ყაიმით დამთავრდა, ანგარიშია 2,5:2,5.

გრონინგენი (ჰოლანდია). აქ დაიწყო მსოფლიო პირველობა ჭაბუკ მოჭადრაკეთა შორის. შეჯიბრებაში 28 ქვეყნის 30 წარმომადგენელი მონაწილეობს. 2 ტურის შემდეგ 2 ქულით ლიდერობს საბჭოთა ოსტატი ვასილი ივანჩუკი.



ჰიდაობის მოყვარულები ყოველ შაბათს თბილისის ცირკის სტუმრები არიან. აქ გრძელდება სოფლებისა და ქალაქების უბნების რესპუბლიკური პირველობა ქართულ ჰიდაობაში. გუშინ მარტყოფელებმა (გარდაბნის რაიონი) ანგარიშით 8:1 დაამარცხეს დიღმის გუნდი, ხაშურის რაიონის სოფელ ვაყის მოჰიდავეებმა სძლიეს თემქელებს — 5:4, ორთაჭალელებმა კი ასეთივე ანგარიშით აჯობეს საფიჩხიის (ქუთაისი) ნაკრებს.

სუპერთასი გათამაშდა

გუშინ თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე გაიმართა საქართველოს სუპერთასის მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ რესპუბლიკის ჩემპიონი „შევარდენი"-სპი (თბილისი) და თასის მფლობელი „მადნეული" (ბოლნისი).

ათიოდე წუთი და ასეთივე კონტრშეტევის დროს მასპინძლები ჯოჯუამ დააწინაურა — 2:0.

ბრძოლის სიმწვავე არ დამცხრალა შესვენების შემდეგაც, ქობელაშვილმა ანგარიში 3:0-მდე გაზარდა, მაგრამ მატჩის ბოლო წუთებზე თბილისელთა კარში დაინიშნა

ეს იყო სეზონის ფინიშის მეტად საინტერესო თამაში. წინასწარ გვინდა ვთქვათ, რომ გამარჯვებულებმაც და დამარცხებულებმაც დიდი მონდომება, ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და, თუმცა, გამარჯვება თბილისელებს დარჩათ, ბოლნისელი ფეხბურთელებიც ღირსეულად გამოიყურებოდნენ.

თამაშის დასაწყისი „მადნეულის" უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ მე-18 წუთზე „შევარდენი"-სპი-მ სწრაფი კონტრიერიში განახორციელა, რაც მენთეშაშვილის ზუსტი დარტყმით დამთავრდა. გავიდა 11-მეტრიანი, რომელიც ზუსტად გამოიყენა მეკარე კუდუხოვმა.

საქართველოს 1986 წლის სუპერთასი დამთავრდა ჩემპიონის გამარჯვებით — 3:1, საპატიო ჯილდო ჩაიბარა თბილისის „შევარდენი"-სპი-მ (გუნდის მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. ხურცილავა).

სურათზე: 1986 წლის რესპუბლიკური სუპერთასის მფლობელი ფეხბურთში თბილისის „შევარდენი"-სპი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

წარმოგიდგენთ კანდიდატებს

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა გუნდი

ამას წინათ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ნამდვილი გმირი საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა ნაკრები გუნდი გახდა. ჩვენმა მოჭადრაკეებმა ისეთი მაღალი ტემპი შესთავაზეს მეტოქეებს, ისე დაწინაურდნენ, რომ ბევრი ვერ გაუმკლავდა მათ და გზადაგზა ჩამორჩა. ბოლოს ჩინეთის გუნდსაც „შეეკრა სუნთქვა" და ჩვენმა ნაკრებმა ვადამდე დაისაკუთრა ოლიმპიადის მთავარი ჯილდო — ვერა მენჩიკის სახელობის თასი.

ეს იყო დიდი, საამაყო გამარჯვება. ზედიზედ ცამეტი მატჩის მოგება, თუნდაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ადვილი როდია. ამას მტკიცე დარაზმულობა, საქმისადმი მამულიშვილური დამოკიდებულება, მგზნებარე გული უნდა.

ასეთ თავმოსაწონებელ წარმატებას მიაღწიეს ჩვენმა თანამემამულეებმა — მაია ჩიბურდანიძემ, ნონა გაფრინდაშვილმა, ელენა ახმილოვსკაიამ, ნანა ალექსანდრიამ.

ჩვენი დიდოსტატების გამოსვლას დიუბაიში მაღალი შეფასება მისცა ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტმა, სსრ კავშირის სპორტსახკომის ჭადრაკის განყოფილების უფროსმა, დიდოსტატმა ნიკოლოზ კროგიუსმა. მისი აზრით, გამარჯვება განპირობა იმან, რომ დიდოსტატები კარგად იცნობენ ერთმანეთს, რომ გუნდში ერთსულოვნება სუფევდა. კროგიუსმა განსაკუთრებით გამოჰყო ნონა გაფრინდაშვილი არა მარტო იმიტომ, რომ მან უნიკალური შედეგი აჩვენა (10-დან 10 ქულა!), არამედ იმიტომაც, რომ მოვალეობისადმი მისაბაძი დამოკიდებულება გვიჩვენა.

მონოლითური გუნდი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა ოლიმპიადაში მონაწილეობას, მინიმუმამდე შეამცირა შემთხვევითობა და თავდადებული ბრძოლით ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. წარმატებაში თითოეულმა დიდოსტატმა თავისი წვლილი შეიტანა. როგორც აღვნიშნეთ, ნონამ ქულათა მაქსიმუმი მისცა გუნდს, რისთვისაც დამატებით ორი ოქროს მედალი მიიღო. მაია ჩიბურდანიძემ 10-დან 8,5 ქულა მოაგროვა, ელენა ახმილოვსკაიამ 12-დან 8,5 ქულა, ნანა ალექსანდრიამ 10-დან 7 ქულა.

საქართველოს დიდოსტატები ასე იმარჯვებდნენ ყოველთვის, როცა ერთ გუნდად შეკრულნი საბჭოთა კავშირის ღირსებას იცავდნენ მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადებზე. გავიხსენოთ მათ მიერ შთამბეჭდავად მოგებული 1980 და 1982 წლების ოლიმპიადები (მაშინ გუნდის მეოთხე წევრი ნანა იოსელიანი იყო, ამჯერად კი — ბიჭვინთელი ელენა ახმილოვსკაია). ბოლო წლებში მსოფლიო ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტებიც ხომ ქართველი მოჭადრაკეები არიან.

თენგიზ ბეთრგაძე.

ქართველი მოკრივეების ნადავლი



გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ჭაბუკ მოკრივეთა V საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" პრიზზე. როგორც იცით, შეჯიბრებაში მონაწილე საქართველოს ნაკრების წევრთა უმრავლესობას ახალბედა სპორტსმენები შეადგენდნენ და მაინც, მიუზედავად ამისა, ჩვენმა ჭაბუკებმა საკმაოდ წარმატებით იასპარეზეს — მოიპოვეს ერთი ოქროს, სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი.

ფინალურ ორთაბრძოლებში თბილისელი ნიკოლოზ ჯაჭვაძის (60 კგ) მეტოქე იყო ევროპის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის კონსტანტინე ცზიუ. ოსტატობამ თავისი გაიტანა და ცზიუმ დამაჯერებლად მოიგო ეს შეხვედრა. ჯაჭვაძეს ვერცხლის მედალი გადაეცა.

75 კგ წონით კატეგორიაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ქუთაისელი ჯამბულად უუფარაძე და თბილისელი არტურ საღატელიანი. ეს ორთაბრძოლა ქულებით მოიგო თბილისის შარშანდელი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულმა, სსრ კავშირის ჩემპიონმა ჭაბუკთა შორის ჯამბულად უუფარაძემ.

+91 კგ წონით კატეგორიაში თბილისელი არჩილ ბიბილურის მეტოქე იყო საკავშირო ნაკრების წევრი ტიგრან ტერტერიანი. ბიბილურმა ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია გამოცდილ მეტოქეს, დამარცხდა და ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა.

ბოლო მედალი ჩვენს გუნდს შესძინა ქუთაისელმა ლევან შარიქაძემ, რომელმაც გუშინწინ საღამოს ნახევარფინალური ორთაბრძოლა დათმო ტიგრან ტერტერიანთან. ლევან შარიქაძეს ბრინჯაოს მედალი გადაეცა.

• • •

სურათზე: კონსტანტინე ცზიუსა და ნიკოლოზ ჯაჭვაძის (მარჯვნივ) ფინალური ორთაბრძოლის მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



⊙ ბატონო რომან, თქვენ ხშირად ხვდებით უურნალისტებს, ხშირად გიხდებათ მათს კითხვებზე პასუხის გაცემა. რა შეკითხვას მოგვცემდით თქვენ თვითონ, ვთქვათ, სპორტთან დაკავშირებით?

— მე ეს მინდა ვიკითხო: სად მიდიან ჩემპიონები? დიახ, მე დიდი უურადღებით ვადევნებ თვალს ჩემი საყვარელი სპორტსმენების ცხოვრებას. მაინტერესებს მათი მიღწევები, მათი შემდგომი ბედი. ბევრი დიდი სპორტსმენი გარკვეული პერიოდის შემდეგ მოულოდნელად „უკვალოდ ქრება“, სპორტში აღარ სურს მუშაობა, რატომ უნდა ხდებოდეს ასე? ყველასთვის ცნობილია, რამდენად დიდია მაგალითის ძალა. დიდი სპორტსმენი გულშემატკივართა კერპია. ასეთ სპორტსმენებს განსაკუთრებით ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავთ ახალგაზრდებს შორის, მოზარდებს შორის. იგი მათთვის ყოველთვის მისაბაძი, ყოველმხრივ სანიმუშო უნდა იყოს. ეს ასე არ არის, სპორტსმენი, რომელსაც მოზარდები მწვანე მინდორზე ან, თუ გნებავთ, ტელევიზორის ეკრანზე ხედავენ, მათთვის ნამდვილი მასწავლებელია. მე ის მინდა ვთქვა, რომ სპორტსმენს შეუძლია უდიდესი გავლენა მოახდინოს ჩვენს

ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲠᲘ

ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ სათაო ქარხნის ამწყობთა ბრიგადის ბრიგადირი, შრომის დიდების ორი ორდენის კავალერი, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი რომან ორაგველიძე პოპულარული კაცია ჩვენს რესპუბლიკაში. ეურნალისტები მისი ხშირი სტუმრები არიან. ამ რამდენიმე წლის წინათ რომან ორაგველიძემ კინემატოგრაფისტთა ეურადღებაც მიიპყრო. საქართველოს დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიამ „ორაგველიძისა“ და მისი ბრიგადის შესახებ გადაიღო დოკუმენტური ფილმი „ინტერვიუ ინტერვიუს წინ“ (რეჟისორი ანდრო ჭიაურელი). რატომ შეჩერდა არჩევანი მაინცდამაინც რომანზე? იგი, გარდა იმისა, რომ სასახელოდ შრომობს, თხემით ტერფამდე თანამედროვე ადამიანია, კაცი, რომელიც შესანიშნავად გრძნობს ყველა „საახლეს“. მისმა ბრიგადამ რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო მუშაობა ერთიანი განრიგით. რომან ორაგველიძე უაღრესად სახიამოვნო მოსაუბრეა. მას ჩვენი ცხოვრების ყველა სფერო აინტერესებს. და, რალა თქმა უნდა, სპორტსაც კარგად იცნობს.

ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

მომავალ თაობაზე, თუკი თავის ოსტატობას, ცოდნას და გამოცდილებას სათანადოდ მოიხმარს, დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ კი ახალგაზრდებს გადასცემს თავის დიდ გამოცდილებას.

⊙ გპირდებით, რომ თქვენს ნათქვამს უსათუოდ გადავცემთ ჩვენს ცნობილ სპორტსმენებს. ახლა კი ნება მომეცით გკითხოთ, რა ადგილი უკავია სპორტს ჩვეულებრივი მუშის, ვთქვათ, თქვენს ცხოვრებაში?

— თქვენ შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ გულახდილად გეტყვით, ქარხანასთან სწორედ სპორტმა დამამეგობრა. 1967 წელს VI პროფტექსასწავლებლის სხვა კურსდამთავრებულებთან ერთად მოვედი ამ ქარხანაში. სწორედ მაშინ გავიცანი არჩილ კიკალეიშვილი, რომელიც ქარხნის ფეხბურთელთა გუნდს წვრთნიდა. ვარჯიშზე დავიწყე სიარული. აქ შევიძინე ახალი მეგობრები, ახალი ინტერესები გამიჩნდა... ამას კი ახალგაზრდა კაცისთვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. 30-35 წლის რომ ხარ, ათას რამეს უწევ ანგარიშს. ამ დროს შეიძლება ოჯახმა, მოვალეობამ საკუთარ ინტერესებსა და გატაცებაზე უარიც გათქმევინოს. მაგრამ, როცა ეს-ეს არის იწყებ შრომით ცხოვრებას, პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამ, არჩევანი უთუოდ სწორად უნდა გაკეთო, ეს გადამწყვეტი მომენტია ახალგაზრდა ადამიანის ცხოვრებაში. ამ პირველ ნაბიჯზეა დამოკიდებული, შეიყვარებ თუ არა შენს საქმეს, შენს სამუშაოს, შენს კოლექტივს. ამ სიყვარულის გარეშე ადამიანი ბედნიერი ვერ იქნება.

⊙ ერთი სიტყვით, თქვენ ყველა ახალბედას ურჩევთ, შრომასთან ერთად სპორტულ ცხოვრებაშიც ჩაებან. როგორ უნდა მოიქცნენ, ვთქვათ, სტაჟიანი მუშები?

— პირველ ყოვლისა სწორედ მათ ვურჩევ სპორტთან დამეგობრებას. წლებს თავისი მიაქვთ: ადამიანი უნდა ცდილობდეს, რომ ასაკში შესვლის შემდეგაც შეინარჩუნოს სპორტული ფორმა. მე ოცდათოთხმეტი წლისა ვარ და დღესაც ვთამაშობ ქარხნის ფეხბურთელთა გუნდში. რეგულარულად ვმონაწილეობთ საქალაქო პირველობაში. ქარხანაში საუკეთესო პირობებია შექმნილი იმისათვის, რომ ყველა მუშამ და მოსამსახურემ ივარჯიშოს, სპორტში იმეცადინოს, ჯანმრთელობა გაიკაჟოს. გვაქვს შესანიშნავი საცურაო აუზი, სპორტული მოედნები, ტარდება ქარხნის სპარტაკიადები, საამქროებს შორის პირველობები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ახლა ჩვენი კოლექტივი დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანებასთან „მეგობრულ თამაშებშია“ ჩაბმული.

⊙ მშრომელ ადამიანს, მუშას, ალბათ ყველაზე უკეთ ესმის შრომის აღმზრდელობითი ძალა და როლი. ახლა ახე დავსვათ საკითხი: რამდენად დიდია სპორტის აღმზრდელობითი ძალა? არის თუ არა ურთიერთკავშირი შრომასა და სპორტს შორის?

— ამას წინათ თქვენი გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატ ზურაბ ცუცქირიძის უაღრესად საინტერესო სტატია — „ჯანსაღი სულისათვის“. ვფიქრობ, მე იმ სტატიის ავტორზე უკეთ ვერ გამოვხატავ ჩემს აზრს. იგი წერდა: „ამათუ იმ თამაშის, ვარჯიშის, ილეთისა და ხერხის დაუფლება ხომ სწავლის პროცესია, ამ ხერხებისა და ილეთების გამოყენება კი განა შრომა არ არის? ასე რომ, თვით ფიზიკულტურა და სპორტი არა მარტო ამზადებს ადამიანს ინტელექტუალური ცხოვრებისა და შრომისათვის, არამედ თვითონვე ავითარებს მას გონებრივად“.

შრომაც და სპორტიც ერთი მიზნის რგოლებია, რომელსაც სახელად ადამიანის აღზრდა ჰქვია.

⊙ თქვენ წარმოშობით გურიიდან ბრძანდებით და ალბათ არც არის საჭირო, გკითხოთ, გაგიხარდათ თუ არა ლანჩხუთის „გურიის“ წარმატება.

— მართლაც დიდი გულშემატკივარი გახლავართ ამ გუნდისა.

⊙ თქვენს ბრიგადაში სპორტის გულშემატკივრები თუ არიან?

— სტადიონზე, როგორც სამსახურში, ყველანი ერთად დავდივართ. მართალია, „დინამომ“ ბოლო დროს გული გვატკინა, მაგრამ ჩვენ არ გვიღალატია მისთვის, ისევ ძველებურად ვესწრებით მატჩებს. გულით გვინდა, რომ წარუმატებლობის პერიოდი მალე დამთავრდეს და ისევ ენახოთ ის დიდი ფეხბურთი, რომელსაც ჩვენი „დინამო“ თამაშობდა.

ᲙᲔᲠᲘ ᲑᲝᲒᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲞᲐᲕᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲡ

თბილისში გაიმართა მეცხრე რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირად-გუნდური პირველობა ავტომრავალჭიდში. პროგრამაში შედიოდა ავტომანქანის ფიგურული ტარება, საწვავის ეკონომიური ხარჯვა და ტყვიის სროლა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან. მონაწილეობდნენ რუსთავის, გორის, ზუგდიდის, სამტრედიის, ახალციხის, წულუკიძის, ვანის, გეგეჭკორის და წითელწყაროს გუნდები.

გუნდურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს სამტრედიელებმა. პირად ჩათვლაშიც სამტრედიელმა ვაჟა ნიკურაძემ იმარჯვა.

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ

დოსააფის რაიონული კომიტეტის სასროლეთზე გაიმართა სარაიონო შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანიდან ტყვიის სროლაში. სარბიელზე გამოვიდნენ მომავალი წვევამდელები, რაიონის 15 სკოლის მეათეკლასელი მოსწავლეები.

პირველი ადგილზე გავიდა ავთანდილ ლეჟავა (დიდი ჯიხაიშის საშუალო სკოლა), II და III საბრიზო ადგილები დაიკავეს დავით ტორონჯაძემ (რკინიგზის № 24 საშუალო სკოლა) და მამუკა გაბელაიამ (ქალაქის მე-5 საშუალო სკოლა).

ᲕᲐᲜᲘ

აქ ჩატარდა მოსწავლეთა სარაიონო პირველობა პნევმატური შაშხანით სროლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ რაიონის საშუალო და პროფტექნიკური სასწავლებლების გუნდები.

109 ქულით პირველი ადგილი დაიკაკუთრა ზუდა ვანის საშუალო სკოლის გუნდმა, 77 ქულით II ადგილი დაიკავა ქალაქის კიროვის სახელობის 1-ლი საშუალო სკოლის გუნდმა. 65 ქულით III საპრიზო ადგილზეა გორას საშუალო სკოლის გუნდი.

ᲐᲑᲐᲨᲐ

სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ მშდ კომპლექსის მრავალჭიდელთა გუნდების რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე, რომელიც გაიმართა დევიზით „ჯანმრთელობა“, საპრიზო ადგილებს ერთმანეთს ეცილებოდნენ აფხაზეთის, აჭარის, სამტრედიის, ვანისა და აბაშის მრავალჭიდელები.

პირველი ადგილი დაიკავა აფხაზეთის გუნდმა, რომელმაც 393 ქულა მოაგროვა. 373 ქულით II ადგილზე გავიდა ვანის გუნდი, ხოლო III საპრიზო ადგილი წილად ხვდათ აჭარელ მრავალჭიდელებს (349 ქულა).

ᲡᲠᲝᲠᲗᲘᲡ 14 ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ

თბილისის საბინაო მეურნეობის სამმართველო (უფროსი გურამ დიდბარიძე) დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე სამ ეტაპად ატარებს მასობრივ შეჯიბრებებს ჯანმრთელობის სპარტაკიადის პროგრამით. ეზოების, ქუჩების, კორპუსების, საბინაო-საექსპლუატაციო უბნებისა და ტრესტების გუნდები სპორტის 14 სახეობაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. უკვე დამთავრდა ტურნირები მინი-ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, ტენისტულ მრავალჭიდში...

საქალაქო შეჯიბრებას მშდ მრავალჭიდში ამ დღეებში „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ სპორტულმა ბაზებმა უმასპინძლეს. სტარტზე გამოვიდნენ ათივე რაიონის საბინაო-საექსპლუატაციო ტრესტების ნაკრები გუნდები (სულ 161 მრავალჭიდელი). საერთო ჩათვლაში 469 ქულით პირველი ადგილი დაიკავა კალინინის რაიონის კოლექტივმა, მეორე და მესამე ადგილებზე კი 26 ქომსრის (425) და საქარხნო (392) რაიონების გუნდები გავიდნენ. 8 მრავალჭიდელმა შეასრულა I თანრიგის ნორმატივი, ხოლო 12-მა — მეორე თანრიგისა.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲣᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
თბილისის საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორ-მეთოდისტი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ᲒᲝᲒᲝᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ... ᲑᲘᲭᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲔᲕᲓᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ

ᲔᲡ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ რამდენიმე კვირის წინ ჩატარდა, მაგრამ ისე უინტერესოდ მიმდინარეობდა, სპორტსმენებმაც ისეთი დაბალი შედეგები აჩვენეს, რომ დიდხანს ვყოყმანობდით, ღირდა თუ არა მასზე შეჩერება, მაგრამ ბოლოს, მაინც სათქმელის თქმა ვამჯობინეთ!

...თუმცა სანამ აცრემლებული გოგონების, გოგონათა ეკიპაჟის მესაჭე ბიჭის, მწვრთნელების სევდის მიზეზებს გამოვარკვევდეთ, საქართველოს სპორტსახკომის ფოთის სანიჩოსნო ბაზაზე გიამბობთ. ბაზას მზრუნველი ხელი დატყობია. ამას იგრძნობენ ისინი, ვინც აქ თუნდაც ერთი წლის წინათ ყოფილა, არადა, რამდენ საყვედურს გამოთქვამდნენ სპეციალისტები, ნიჩბოსნების ბაზის კეთილმოწყობის აუცილებლობის შესახებ „ლელოც“ წერდა. და აი, ბაზა კეთილმოწყო. აშენდა სასადილო, აბანო, მოქმედებს არტეზიული ჭა და ბოლოს და ბოლოს გადაწყდა წყლის საკითხი, ბაზა თბება. თუმცა უმჯობესია, თვით ბაზის დირექტორს ა. ჩხაიძეს მოვუსმინოთ.

— უპირველეს ყოვლისა, მადლობა მინდა გადავუხადო მშენებლებს, ტრესტ „საქსპორტმშენის“ ცხაკაიას № 3 სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ნ. ჯობავა) კოლექტივს, პირადად საქმეთა მწარმოებელს ზ. გეგეჭკორს. მათ ყველაფერი იღონეს იმისთვის, რომ ეს ობიექტები დროულად აეშენებინათ და ხარისხიანიც გამოსვლოდათ. მათ ბაზის თანამშრომლებიც ეხმარებოდნენ. და აი, გეგმით დეკემბერში ჩასაბარებელი სასადილო და აბანო უკვე ოქტომბერში იყო მზად, მეტიც, მშენებლები შეგვპირდნენ, სასტუმროს თებერვალში გადაეხურავთო, მომავალ წელს აიგება ელინგი 100 ნავისთვის, კეთილმოწყობა ბაზის ეზო. ასე რომ, მომავალ სეზონში რესპუბლიკის ნიჩბოსნებს ვარჯიშის, დასვენების და, რაც მთავარია, ასპარეზობისთვის საუკეთესო პირობები ექნებათ.

თუმცა, კარგი ბაზა მაშინაა გამოსადეგი, როცა მოვარჯიშე სპორტსმენთა მომზადება დღევანდელ მოთხოვნებს პასუხობს. სამწუხაროდ, ჩვენს აკადემიურ ნიჩბოსნებზე ამას ვერ ვიტყვით. ამ შეჯიბრების (რესპუბლიკის პირველობა ტარდებოდა) შედეგებით საქართველოს ნაკრები უნდა დაკომპლექტებულიყო, მაგრამ... მწვრთნელებმა ისეთი სპორტსმენები ჩამოიყვანეს, რომელთა ნაკრებში მიწვევა ან ძალიან ადრეა, ან — ძალიან დაგვიანებული. თავად განსაჯეთ, ნიჩბოსნობაში ისეთი ტრადიციების მქონე ცენტრმა, როგორიც მცხეთაა, 24 სპორტსმენის ნაცვლად... 3 გამოგზავნა, არც სხვა გუნდების (თბილისი, აფხაზეთი, აჭარა, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი) ხელმძღვანელებს ჰქონდათ საგანაცხადო საბუთები მოწესრიგებული, მსაჯთა კოლეგიას ბევრი შეღავათის გაკეთება მოუხდა იმისათვის, რომ შეჯიბრება არ ჩაშლილიყო. ერთი კია — მწვრთნელებს და სპორტსმენებს დაემუქრნენ — დისტანციაზე აღარაფერს გაპატიებთო.

ნაკრების ხელმძღვანელებს შეჯიბრების პირველივე დღეს გაუცრუვდათ იმედი, ფიზიკურ მომზადებაში გამართულ შეჯიბრებაში (3000 მეტრზე რბენა, ღერძზე მიზიდვა და სხვა, ნაჩვენები შედეგების უმეტესობა ელემენტარულ მოთხოვნებს ვერ პასუხობდა. აკადემიურ ნიჩბოსნობაში რომ კარგი ფიზიკური მომზადების გარეშე შორს ვერ წახვალ, ეს შეჯიბრების მეორე დღეს გამოჩნდა. საქართველოს ჩემპიონის საპატიო სახელისათვის მებრძოლთა დაძაბული და შეუპოვარი პაექრობის ნაცვლად უინტერესო შეჯიბრება ვიხილეთ: თითქმის არც ერთ გაცურვაში არ გამართულა მწვავე ბრძოლა. ერთეულების შეჯიბრებაში ფინიშამდე გოგონათა მხოლოდ 2 ნავი მოვიდა (ზოგი მოხსნეს, ზოგ გუნდს მონაწილე არ გამოუყვანია), თანაც ფინიშის ხაზთან რის ვაი-ვაგლახით მოსული „გამარჯვებულს“ მეორე საპრიზო ადგილზე გასული ნავი 5-6 წუთით ჩამორჩა და შესაჭე, რომელიც სულს ძლივს ითქვამდა, მწვრთნელების დახმარებითღა გადმოვიდა ნაპირზე... ღმერთმანი, არ ვაზვიადებთ. უფრო დიდი კურიოზი გოგონების ოთხადგილიანი გასაშლელი მესაჭიანი ნავებით რბოლაში მოხდა, სადაც ფინიში შედარებით მძაფრი გამოდგა. ქუთაისელმა გოგონებმა წამით მიასწრეს ფინიშთან თბილისელთა ეკიპაჟს, მაგრამ მათი სიხარული ნაადრევი გამოდგა. მსაჯთა კოლეგიამ ფორმის ფერის დარღვევის გამო (ერთს წითელის ნაცვლად თეთრი მაისური ეცვა) ეკიპაჟი შეჯიბრებიდან მოხსნა. რა თქმა უნდა, დაბულების დაცვა აუცილებელია, მაგრამ... არ ჯობდა გოგონები სტარტზე გასვლამდე გაეფრთხილებინათ? მსაჯებს აღარ დაუნახავთ, როგორ ჩაიქნიეს ხელი გოგონებმა და აცრემლებულებმა მიატოვეს შეჯიბრების ადგილი... წესი და კანონი უნდა დაეცვათ, მაგრამ არსებობს დაუწერელი კანონებიც, რომელთა დაცვა უფრო ძნელია, რადგან ამას უფრო სხვა ალღო, ტაქტი და ჰუმანურობა სჭირდება. ნუთუ ქუთაისელებს ისე გაუჭირდათ, რომ ქალაქის ნაკრებს ფორმა ვერ შეუძინეს (როგორც მწვრთნელებმა, გუნდის წარმომადგენლებმა გვითხრეს, მათ ქალაქში, ისევე როგორც სხვაგან, ფორმის გადარიცხვით ყიდვა თითქმის შეუძლებელია).

ერთი სიტყვით, გამარჯვება ამ გაცურვაში თბილისელთა ეკიპაჟს უნდა ეზეიმა, მაგრამ... მათი სიხარულიც ხანმოკლე გამოდგა, რადგან **მსაჯებმა თბილისელი გოგონების ნავის მესაჭეს თხოვეს ფეხზე წამომდგარიყო. მესაჭე ერთხანს ჯიუტობდა, მაგრამ მერე იძულებული გახდა წამომდგარიყო და დახეთ საოცრებას: ნავიდან ბიჭი წამოიმართა...** დიდხანს იცინოდნენ ამ შეჯიბრების მონაწილენიც, რომლებმაც ჯერ „ვერცხლი“ ოქროზე გადაადნეს და შემდეგ ორივე ერთად დაკარგეს.

ძალაუნებურად IX სპარტაკიადა, „კრილატსკოეს“ ბაზა გამახსენდა, სადაც სხვებთან ერთად ვხარობდი ჩვენი ნიჩბოსნების ზეგეგმიური ქულებით. მხოლოდ აქ, ფოთში მივხვდი, თუ რა შრომის ფასად მიაღწიეს სპორტის ამ სახეობის მესვეურებმა, ნაკრების მწვრთნელებმა ამ წარმატებას... ასე დაფიქრებული და დადარდიანებული კაცი არ მინახავს, როგორიც იმ დღეს აკადემიური ნიჩბოსნობის ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი გენადი პატარაია იყო. ლაპარაკი არ ეხალისებოდა, მაგრამ კითხვაზე მაინც გვიპასუხა.

— რა უნდა გითხრათ, თავად დარწმუნდით რა დღეშია ჩვენი აკადემიური ნიჩბოსნობა. ამ პირველობაზე რესპუბლიკის ნაკრებისათვის კანდიდატები უნდა შეგვერჩია, მაგრამ ერთ, თუნდაც მცირე იმედის მომცემ პერსპექტიულ ნიჩბოსანსაც ვერ დავადგით თვალი. ფიზიკურად და ტექნიკურად სუსტად არიან მომზადებული, ამიტომ იყო ნაკრების ლიდერებს კონკურენცია რომ ვერავინ გაუწია.

რა არის ამის მიზეზი? ის, რომ მწვრთნელები უხალისოდ მუშაობენ. თუ ახლავე არ მივიღეთ გადამჭრელი ზომები, უსათუოდ ჩიხში მოვექცევით.

იქამდე მივედით, რომ ადგილებზე მომუშავე მწვრთნელებს ვთხოვთ, თუ ნავარჯიშებს, მომზადებულ სპორტსმენებს ვერ მოგვაწვდიან, ფიზიკურად განვითარებული სპორტსმენი მაინც გამოგვიგზავნონ ნაკრებში, რომ ნიჩბოსნობის ანბანი ჩვენ ვასწავლოთ და მათ დაოსტატებაზეც ჩვენ ვიზრუნოთ...

საგონებელში ჩავარდნილი მწვრთნელის ნათქვამს ვერაფერს დაეუმატებთ და ვერც ვერაფრით ვანუგეშებთ, რადგან ამის უფლებას არ გვაძლევს ამ შეჯიბრებებზე ნანახი და განცდილი.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲮᲐᲠᲐᲑᲐᲫᲔ.
(„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი).

ფოთი.

ლანჩხუთში ემზადებიან

რედაქციაში ბევრი წერილი შემოდის, რომელთა ავტორებსაც აინტერესებთ, როგორ ემზადებიან ლანჩხუთში გუნდის უმაღლეს ლიგაში მონაწილეობისათვის. რა სამუშაოები ხორციელდება რაიონში იმ მოთხოვნების შესაბამისად, რასაც მოითხოვს ფეხბურთის საკავშირო ფედერაცია და გათამაშების დებულება.

ჩვენი კორესპონდენტი ამ დღეებში ლანჩხუთში გაეცნო იმ ღონისძიებებს, რაც ამჟამად ტარდება რაიონში. თავიდანვე ვიტყვით, რომ რამდენიმე თვეში მართლაც დიდი მოცულობის სამუშაოებია ჩასატარებელი. ამჟამად ყურადღების ცენტრშია მთავარი ობიექტი — სტადიონი. აქ დაჩქარებული ტემპით ხორციელდება კომპლექსური სამუშაოები. ზრუნავენ სასტუმროს კეთილმოწყობისათვის, ბევრი რამ კეთდება გრიგოლეთში — ზღვის სანაპიროზე, სადაც „გურიის“ საწვრთნო ბაზა ექნება. ეს ადგილი რაიონის ცენტრიდან 18 კილომეტრითაა დაშორებული.

რაიონის მშრომელები, ახალგაზრდები მზად არიან თავიანთი შრომითი წვლილი შეიტანონ მშენებარე ობიექტების განსაზღვრულ ვადებში ჩაბარებაში. შექმნილია სამუშაოთა ხელმძღვანელობის შტაბი. ახალმშენებლობებსა და სარეკონსტრუქციო სამუშაოებში საქართველოს სახაგრომრეწვის, სპორტსახკომის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, საქმთავარენერგოს გარდა ჩაბმული არიან ცალკეული უწყებებისა და ორგანიზაციების შესაბამისი სამსახურები. ლანჩხუთში მიმდინარე სამუშაოების დროულად, ხარისხიანად და შეუფერხებლად ჩატარება მეტად მნიშვნელოვანი, საპრესტიჟო საქმეა. ამიტომ „ლელოს“ რედაქციამ გადაწყვიტა რაიონში გახსნას საგანგებო საგუშაგო. მკითხველებს რეგულარულად ვაუწყებთ, როგორ მიდის საქმე, ვინ გამოიჩინა თავი და ვინ ჩამორჩა, შეთანხმებულად მუშაობენ თუ არა პარტნიორები.

„გადასასვლელის“ გამარჯვებულნი

სოჩისა და ადლერის სტადიონებზე გაიმართა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ფეხბურთელთა ტრადიციული საკავშირო შეჯიბრება „გადასასვლელი“ ყოველკვირეული გამოცემა „ფუტბოლ-ჰოკეის“ პრიზზე. წინა წლების შეჯიბრებებში გამოდიოდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები, ამჯერად კი ტურნირში მონაწილეობდნენ სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდები.

მთავარი პრიზი მოიპოვა ცსკა-მ, საპრიზო ადგილებზე გავიდნენ „დინამო“ და „ურაოაი“.

ტურნირის დამთავრების შემდეგ შედგა „გადასასვლელის“ სიმბოლური ნაკრები. მის შემადგენლობაში არიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები — მცველი ც. სოხაშვილი („ურაოაი“), ნახევარმცველი ჯ. გუბაზი („დინამო“), თავდამსხმელი გ. კვარაცხელია („დინამო“).

გათამაშებაში დანიშნული იყო საგანგებო პრიზი „ხუთიანი ეოფაქცევისთვის“. ტურნირზე საუკეთესო ყოფაქცევით გამოიჩინეს თავი „ურაოაის“ ნაკრების ფეხბურთელებმა. ამ გუნდს ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ჯ. გუგუშვილი.

ნილაში აღარ ითამაშებს

უნგრეთის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, ცნობილი ნახევარმცველი ტიბორ ნილაში უკანასკნელ წლებში ვენის „აუსტრიაში“ გამოდიოდა. მას მსოფლიო ჩემპიონატშიც უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ დაშავდა.

ახლა ნილაშმ გადაწყვიტა საერთოდ დაანებოს თავი ფეხბურთს. მისი ტრავმა უმძიმესი აღმოჩნდა და ექიმებმა ვერაფრით ანუგეშეს გამოჩენილი ოსტატი.

აველანეი — სანტანა

ფიფა-ს პრეზიდენტმა ჟოაო აველანემა ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ილაპარაკა ბრაზილიის ნაკრების მარცხის შესახებ უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატში. პრეზიდენტის აზრით, ამ მარცხის მიზეზი ჩემპიონატის არასრულყოფილი რეგლამენტი კი არა (როცა ცალკეული მატჩების ბედს 11-მეტრიანი დარტყმების სერია წყვეტდა), მწვრთნელ ტელე სანტანას შეცდომები იყო.

სანტანას პასუხი არ დაუყოვნებია: — ბატონ აველანეს პატივს ვცემ მის მიერ გაწეული საორგანიზაციო მუშაობისთვის, მაგრამ მის აზრს ვერ გავიზიარებ. საქმე ის არის, რომ მე ფეხბურთს მთელი ჩემი სიცოცხლე შევწირე, 12 წლის მანძილზე „ფლუმინენსეში“ გამოვდიოდი და ვიცი ამ თამაშის ავ-კარგი. აველანეი წინათ კარგი მოცურავე იყო, ბურთისთვის კი ფეხი არასოდეს დაურტყამს. განა მე ჩემს თავს უფლებას მივცემ ჭკუა ვასწავლო ბრაზილიელ მოცურავეებს, რომელთაც უფრო უარესად აქვთ საქმე, ვიდრე ფეხბურთელებს?!



უდო ლატეკის მოულოდნელი გადაწყვეტილება

ამ დღეებში, სპორტული საზოგადოებრიობისთვის სრულიად მოულოდნელად, ცნობილმა მწვრთნელმა უდო ლატეკმა, რომელიც ამჟამად მიუნჰენის „ბაიერნს“ უდგას სათავეში, განაცხადა, რომ აღარ გააგრძელებს მუშაობას ამ კლუბში და საერთოდ ხელს იღებს მწვრთნელის პროფესიაზე. თავის გადწყვეტილება ლატეკმა იმით ახსნა, რომ სურს მთელი დრო ოჯახს მოახმაროს.

კლუბის მენეჯერის, წარსულში განთქმული ფეხბურთელის ული ჰონესისა და პრეზიდენტ შვერის დაჟინებული თხოვნის პასუხად ლატეკმა განაცხადა, რომ მისი გადაწყვეტილება კარგადაა მოფიქრებული და საბოლოოა. ჰონესსა და შვერს მან ურჩია არ დაკარგონ დრო და სწრაფად მოუძებნონ შემცვლელი, რათა დროზე შეწყვეტონ მუშაობა და კლუბს გამოეთხოვონ.

ფერგიუსონის იმედით

„მანჩესტერ იუნაიტედის“ წლევანდელ სეზონულ მარცხს, როგორც მოსალოდნელი იყო, მწვრთნელის შეცვლა მოჰყვა. რონ ატკინსონი, რომელიც კლუბის დირექტორატის აზრით, „ამაოდ დაშვრა“, შეცვალა 43 წლის ალექს ფერგიუსონმა, შოტლანდიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, რომელიც წარმატებით უძღვებოდა „აბერდინს“.

ასისტენტობა არავის სურს

გფრ-ის ნაკრების ხელმძღვანელი ფრანც ბეკენბაუერი თანაშემწის გარეშე დარჩა. კიოპელი, რომელიც ამ თანამდებობაზე მუშაობდა, ახლა იურდინგენის „ბაიერნის“ მწვრთნელად დაინიშნა, სადაც მან ფელდკამპი შეცვალა. მალე გაირკვა, რომ ნაკრებში ასისტენტად მუშაობა მაინცდამაინც არავის იზიდავს. მიმართეს გფრ-ის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელ ფოგტსს, მაგრამ უარი მიიღეს. არც ჰელდი დავიწყებიათ, რომელიც ახლა ისლანდიის ნაკრების მწვრთნელად მუშაობს, მაგრამ მან არ მოისურვა საშობლოში დაბრუნება.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია დაუალავ პროპაგანდას ეწევა, რათა ამ თამაშმა სულ უფრო მეტი, საყოველთაო გავრცელება ჰპოვოს მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც იგი უწინ არ იყო კულტივირებული. ეს ორგანიზაცია მისი პრეზიდენტის ჟოაო აველანეის მეთაურობით დაუცხრომლად იღვწის ფეხბურთი რომ საყოველთაოდ გავრცელდეს ჭალთა შორისაც, უკვე იმართება მსოფლიო ჩემპიონატები სხვადასხვა ასაკის ჭაბუკთა შორის და ა. შ.

მკითხველებს, ალბათ, ემახსოვრებათ, რომ ამ რამდენიმე წლის წინ ფიფა-მ დაადგინა რეგულარულად ჩატარდეს მსოფლიო პირველობები დახურულ დარბაზებში. მართალია, მაშინ მითითებული არ იყო თუ კონკრეტულად რომელი ფეხბურთი ჰქონდა მხედველობაში ფიფა-ს — ნორმალური ფეხბურთი, სადაც 11-11 კაცი მონაწილეობს თამაშში, თუ მინიფეხბურთი, მაგრამ, ეტყობა, ეს დადგენილება მსოფლიო ჩემპიონატებს მინიფეხბურთში გულისხმობდა, ვინაიდან სულ ახლახან უნგრეთის დედაქალაქში გამართულ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებას მინიფეხბურთში ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ექსპერიმენტული, საცდელი უწოდა და გამოაცხადა კიდეც, რომ უახლოეს ხანში დაიწყება მზადება მსოფლიო პირველობისთვისაც. ბუდაპეშტის ამ საცდელ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ძლიერი გუნდები. მაშინ დადგინდა სათამაშო მინდვრის განზომილებებიც: სიგრძე 42 მეტრი, სიგანე — 22, კარის პარამეტრები 3X2 მ, თამაშში მონაწილე გუნდების მოთამაშეთა რაოდენობა განისაზღვრება 5-5 კაცით, შეცვლა ხდება განუსაზღვრელი რაოდენობით, მეკარეს უფლება აქვს კარიდან მხოლოდ ცენტრამდე მიაწოდოს ბურთი, საჯარიმოთა დარტყმის დროს მეტოქე გუნდის მეტოქეებმა უნდა დაიცვან 3-მეტრიანი დისტანცია და სხვ.

თუმცა, ექსპერიმენტულმა საერთაშორისო შეჯიბრებამ მრავალი პრობლემაც წამოჭრა. კერძოდ, დადგენილი არაა ხაზით იქნება შემოსაზღვრული სათამაშო მოედანი, თუ გარკვეული სიმაღლის ჯებირით, კარს უკან რამდენი მეტრით უნდა იყოს დაცილებული კედელი, მოაწოდებენ თუ არა კუთხურებს და ა. შ.

მაგრამ ერთი რამ ცხადია: მინიფეხბურთი სულ უფრო დაბეჯითებით თხოულობს მოქალაქეობრიობის უფლებას, მინიფეხბურთის თამაში სურთ ნორჩებსაც, ახალგაზრდებსაც და ხანდაზმულებსაც, იგი მეტად ხელმისაწვდომი და ორგანიზაციულად იოლია და, ცხადია, იქ, სადაც დღეს დიდი ფეხბურთის თამაშის შესაძლებლობა არ არის, თავისუფლად შეიძლება გზა გავუკვალოთ მის უმცროს ძმას — მინიფეხბურთს.

ბუდაპეშტის საერთაშორისო შეჯიბრებამ მინიფეხბურთში დიდი ინტერესი გამოიწვია. მისი წარმატების შესახებ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას თავისი ავტორიტეტული აზრი მოახსენა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მინიფეხბურთის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ პაბლო პორტამ.

შემდეგ, ჟურნალისტებთან გამართულ პრესკონფერენციაზე, პ. პორტამ განაცხადა, რომ მაყურებელთა დიდი ინტერესი ამ შეჯიბრების მიმართ ეჭვს არ იწვევს და თუ ორგანიზაციული საკითხები წარმატებით გადაიჭრა, ორი-სამი წლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის მოწყობაც შეიძლება და უკვე გამოჩნდა კიდეც ქვეყანა, რომელსაც სურს მასპინძლობა გაუწიოს პირველ მსოფლიო ჩემპიონატს — ამერიკის შეერთებული შტატები. თავის ამ მოსაზრებას პ. პორტამ იმრც დაუმატა, რომ საჭიროა კიდევ რამდენიმე დიდი საერთაშორისო შეჯიბრების ჩატარება სხვადასხვა ქვეყნის გუნდების მონაწილეობით (ასეთი ტურნირების მოწყობა სურთ ესპანელებს იანვარში და პერუელებს — მარტში), სწორედ ამ შეჯიბრებებშია საჭირო თამაშის წესების დადგენა, ახალი კოდექსის განხილვა ფიფა-ს სხდომაზე.

სხვათა შორის, საკუთრივ პ. პორტა მომხრეა მინიფეხბურთის სათამაშო მოედანი შემოისაზღვროს ისეთივე ჯებირით, როგორიც ჰოკეიშია, ეს უფრო გასაგებია და საინტერესოს გახდის თამაშს. მისი აზრით, ბურთიც „უფრო მეტად ზომისა უნდა იყოს, გაჩერდეს, როგორც ეს ხელბურთშია.

ერთი სიტყვით, მსოფლიო ჩემპიონატი მინიფეხბურთში კარზე გვიკაკუნებს.

თუ თვალს გავადევნებთ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის საქმიანობას მინიფეხბურთის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი უკვე საკმაოდ ფეხმოკიდებულია საქართველოში. სულ ახლახან დამთავრდა რესპუბლიკური შეჯიბ-

მინიფეხბურთი პოპულარობას იძენს

ბრება ქალაქების უბნების გუნდებს შორის, მეტად საინტერესო იყო თბილისის უბნების ამასწინანდელი პირველობა. რატომღაც მოიკლო, თორემ წინა წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა თბილისის სპორტის სასახლეში გამართული შეჯიბრებები მინიფეხბურთში ნორჩთა შორის. საქართველოს ქალაქებსა და სოფლებშიც ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუწყონ მინიფეხბურთის განვითარებას, ხშირად იმართება შეჯიბრებები როგორც ბავშვთა, ისე მოზრდილთა გუნდების მონაწილეობით. ეს ტენდენცია არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეწყდეს და როცა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია საბოლოოდ დაადგენს თამაშის წესებს, მინიფეხბურთს საქართველოში საფუძვლიანად ექნება ფეხი მოკიდებული.

ბიჭიკო ქორქია.

კახა წაქაძეს—„ურალის თასი“

17 წლის ბაკურიანელმა დინამოელმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა, უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის მოსწავლემ კახა წაქაძემ შთამბეჭდავად იასპარეზა ნიჟნი ტაგილში, სადაც სსრ კავშირის თასის გათამაშების I ეტაპი გაიმართა. მხტომელთა შეჯიბრება 70-მეტრიან ტრამპლინზე ორ დღეს გაგრძელდა. განსაკუთრებით კარგად გამოვიდა კ. წაქაძე შეჯიბრების მეორე დღეს — 66 მონაწილეს შორის მე-8 იყო და 204,9 ქულა მოაგროვა (ნახტომები 79 და 84,5).

აღსანიშნავია, რომ ჩვენი სპორტსმენის მეორე ნახტომი მსაჯებმა 108,6 ქულით შეაფასეს, რაც ამ სერიაში მეორე შედეგი იყო 24 წლის პერმელ ვლადიმერ კუზნეჩიკოვის (110,1) შემდეგ.

პარალელურად მომდინარეობდა იუნიორთა (18 წლამდე) შეჯიბრებაც, რომელშიც ყველას კახა წაქაძემ აჯობა და ტრადიციული „ურალის თასიც“ დაისაკუთრა.

კ. წაქაძის გარდა სტარტზე კიდევ სამი ქართველი სპორტსმენი გამოვიდა — წაღვერელი ელგუჯა ორჯონიკიძე, ბაკურიანელები იბრაჰიმ გობოზოვი და გიორგი დიაკონაშვილი. მათგან საუკეთესო ე. ორჯონიკიძე იყო, რომელმაც მეორე დღეს მე-11 შედეგი აჩვენა (191,9 ქულა, ორივეჯერ 80,5-ზე გადახტა), ხოლო პირველ დღეს — მე-16 იყო (197,7 ქულა, ნახტომები 80,5 და 86). მას პირველ დღეს ერთი საფეხურით (მე-17 ადგილი) ჩამორჩა გ. დიაკონაშვილი — 197,3 (82 და 80,5).

პირველ დღეს მოსკოველმა დინამოელმა ევგენი კიატინმა გაიმარჯვა — 235,3 (90 და 92,5), მეორე დღეს კი — ლენინგრადელმა არმიელმა იური გოლოვშჩიკოვმა — 224,4 (89 და 87).

თასის გათამაშების მეორე ტური 21-22 დეკემბერს გაიმართება ნიჟნი ტაგილის 70 და 90-მეტრიან ტრამპლინებზე. აქ ჩვენი ოთხივე სპორტსმენი გამოვა. მესამე ტური გორკში მოეწყობა (26-28 დეკემბერს), ხოლო თასის გათამაშების ფინალური სასპარეზობა გაისად, 10-11 იანვარს, დაბა სკოლეში (ლვოვის ოლქი) გაიმართება. სხვათა შორის, აქვე გაიმართება ახალგაზრდა მფრინავ მოთხილამურეთა საკავშირო შეკრება, შემდეგ კი ივოროხტაში (ივანო-ფრანკოვსკის ოლქი) — ჭაბუკთა (1969-1970 წლებში დაბადებულნი) საკავშირო შეჯიბრება, რომელიც დაასახელებს იუნიორთა იმ ნაკრების წევრებს, რომელიც მსოფლიო პირველობაში (იტალია, თებერვალი) მიიღებს მონაწილეობას. ჩვენი რესპუბლიკის მხტომელებიდან ამ შეკრებაზე და შეჯიბრებაში მიწვეულია კახა წაქაძე.

„ლელოს“ კორ.

ჩვენი ჭაბუკები ყურადღების ცენტრში იყვნენ

ამ დღეებში ჩერკესკში ჩატარდა პროფკავშირების სპორტული საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 235 ნორჩი ფალავანი. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებების „სპარტაკის“, „განთიადის“, „ლოკომოტივის“, „ბურევესტნიკის“ და „ზენიტის“ ღირსებას 22 მოჭიდავე იცავდა. შესანიშნავად იასპარეზეს და შინ გამარჯვებულები დაბრუნდნენ გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეები გიორგი ხინჩიკაშვილი (65 კგ), ჯონდო მოდოსიანი (70 კგ; ორივე — „ბურევესტნიკი“) და სამტრედიის რაიონიგზის მე-13 საშუალო სკოლის მოსწავლე აკაკი გაბედავა (81 კგ; „სპარტაკი“), კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდნენ რუსთაველი მალხაზ ეგაძე (48 კგ; „განთიადი“) და თბილისელი ემზარ ბოგანიშვილი (81 კგ; „ლოკომოტივი“).

ვის რა შანსები აქვს?

როგორც ვიუწყებოდით, 23 დეკემბერს თბილისში, დონეცკსა და რიგაში ჩატარდება უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის ბოლოსწინა ტურის მატჩები. თბილისში ადგილობრივი „დინამო“ ორ-ორ შეხვედრას ჩაატარებს კიევის „სტროიტელთან“ და მოსკოვის რტი-სთან. ასევე ორ-ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს მოსკოვის „დინამო“ — რტი და მოსკოვის „დინამო“ — „სტროიტელი“.

დონეცკში იასპარეზებენ: „ჟალგირისი“, ცსკა, ადგილობრივი „შახტიორი“ და ალმა-ათის ასკ, ხოლო რიგაში — ვილნიუსის „სტატბა“, ლენინგრადის „სპარტაკი“, ადგილობრივი ვეფ-ი და კიევის არმიელთა კოლექტივი.

საკავშირო ჩემპიონატის ამ ეტაპზე გუნდებს კონკრეტული ამოცანა აქვთ გადასაწყვეტი. ეს ამოცანა ფინალისტთა ექვსეულში მოხვედრა გახლავთ, რაც ტურნირის მომდევნო ეტაპებზე სპარტაკიადის ადგილებისთვის ბრძოლის უფლებას იძლევა.

თუ რა მდგომარეობაა დღეისთვის პირველ ექვსეულში, ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდანაც ჩანს:

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	15	13	2	1444-1224	28
ასკ (კიევი)	15	10	5	1287-1276	25
„ჟალგ.“ (კ.)	15	9	6	1273-1226	24
„შახტ.“ (დ.)	15	9	6	1145-1142	24
ვეფ (რიგა)	15	8	7	1368-1375	23
„დინ.“ (თბ.)	15	8	7	1109-1185	23

დასამალი რაა, ცსკა-ს არა თუ ექვსეულში თამაშის, უმაღლესი ჯილდოსთვის ბრძოლის ყველაზე რეალური შანსი გააჩნია. დანარჩენ ხუთ კოლექტივს კი, ისევე როგორც ექვსეულის მიღმა დარჩენილ გუნდებს, იმედები გადაწურული არა აქვთ.

თბილისის „დინამო“, როგორც უკვე ვთქვით, მორიგ ტურში ოთხ მატჩს გამართავს „სტროიტელთან“ და რტი-სთან. მერე კი ბოლო ტურის თითო შეხვედრა ექნება ჩასატარებელი მოსკოვის „დინამოსთან“, „ჟალგირისთან“ და „შახტიორთან“. უკანასკნელი ტურის მატჩებზე დაყრდნობა, ცხადია, საზიფათოა, ამიტომ ქართველმა კალათბურთელებმა მთელი უნარი თბილისს შეხვედრებში უნდა გამოავლინონ და სიმტკიცის მარაგი შექმნან.

ლენინგრადის კალათბურთელები დინამოელებს მხოლოდ ქულით ჩამორჩებიან. არა და „სპარტაკს“ ჩასატარებელი დარჩა ვეფ-თან და „სტატბასთან“ ორ-ორი შეხვედრა რიგაში, ალმა-ათის ასკ-სთან, კიევის არმიელებთან და ცსკა-სთან თითო შეხვედრა ალმა-ათაში. ლენინგრადელთა დღევანდელი შესაძლებლობებით თუ ვიმსჯელებთ, „პროგრამა მაქსიმუმის“ შესრულება უნდა გაუჭირდეთ.

ექვსეულში მოხვედრისთვის თავგამოდებით იბრძოლებს კიევის „სტროიტელიც“, რომელიც ჩვენს გუნდს დღესდღეობით 2 ქულით ჩამორჩება. „სტროიტელი“, როგორც უკვე ვთქვით, ბოლოსწინა ტურს თბილისში ჩაატარებს ადგილობრივ და მოსკოვის „დინამოსთან“. მერე კი რიგაში მინსკის რტი-ს, ვეფ-სა და „სტატბას“ შეხვდება. მდგომარეობა აქაც ბუნდოვანია და გაურკვეველი, თუმცა ჩემპიონატის ფინიშზე ყოველგვარი სიურპრიზია მოსალოდნელი. სწორედ ამიტომ აქვე მეორე ექვსეულის სატურნირო მდგომარეობას გთავაზობთ:

„სპ.“ (ლ.)	15	7	8	1242-1214	22
„სტ.“ (კ.)	15	6	9	1264-1257	21
რტი (მნ.)	15	5	10	1185-1178	20
„დინ.“ (მ.)	15	5	10	1291-1344	20
ასკ (ა.ათა)	15	5	10	1232-1291	20
„სტატ.“ (ვ.)	15	5	10	1221-1349	20

„სპარტაკისა“ და „სტროიტელის“ დარჩენილ შეხვედრებზე უკვე ვისაუბრეთ. ახლა რამდენიმე სიტყვა სხვა ოთხი გუნდის მეტოქეებზეც.

რტი (მინსკი): ორ-ორი შეხვედრა (თბილისში) მოსკოვისა და თბილისის „დინამოსთან“, თითო შეხვედრა (რიგაში) „სტროიტელთან“, „სტატბასა“ და ვეფ-თან.

„დინამო“ (მოსკოვი): ორ-ორი შეხვედრა (თბილისში) რტი-სთან და „სტროიტელთან“, თითო შეხვედრა (დონეცკში) თბილისის „დინამოსთან“, „შახტიორთან“ და „ჟალგირისთან“.

ასკ (ალმა-ათა): ორ-ორი შეხვედრა (დონეცკში) „ჟალგირისთან“ და „შახტიორთან“, თითო შეხვედრა (ალმა-ათაში) ცსკა-სთან, ლენინგრადის „სპარტაკთან“ და კიევის არმიელებთან.

„სტატბა“ (ვილნიუსი): ორ-ორი შეხვედრა (რიგაში) კიევის არმიელებთან და ლენინგრადის „სპარტაკთან“, თითო შეხვედრა (რიგაში) ვეფ-თან, რტი-სთან და „სტროიტელთან“.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ბორის დიაჩკოვი



ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტის სპეციალისტთა, სახელოვან მწვრთნელთა კოჰორტას კიდევ ერთი საუკეთესო წარმომადგენელი გამოაკლდა. სპორტის ყველაზე მასობრივი სახეობის, „სპორტის დედოფლის“ — მძლეოსნობის ჭეშმარიტი პატრიარქი, ძველი გვარდიის ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანი.

ბორის მიხეილის ძე დიაჩკოვი სპორტის ძველ გულშემატკივრებს ახსოვთ როგორც ჩინებული მძლეოსანი. დიან, იგი თავის დროზე სსრ კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო ათლეტი იყო, ქვეყნის რეკორდსმენი მძლეოსნობის სამ სახეობაში — სამმაგ ხტომაში, ათეშდსა და 110 მეტრზე თარჯრბენში. გულშემატკივართა შედარებით ახალგაზრდა თაობა კი მას შესანიშნავ მწვრთნელ-პედაგოგად იცნობდა. ვრცელია ბ. დიაჩკოვის აღზრდილთა სია, ამიტომ მათგან მხოლოდ საუკეთესოებს დავასახელებთ: ნინო დუმბაძე და ელენე გოკიელი, ლევან სანაძე და რობერტ შავლაყაძე, გურამ გუდაშვილი, რევაზ ტრაპაიძე და იური დიაჩკოვი. მათგან უმრავლესობამ თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია ოლიმპიურ თამაშებზე, ევროპის ჩემპიონატსა თუ საკავშირო პირველობაზე.

სკკპ წევრს 1944 წლიდან, დიდი სამამულო ომის მონაწილეს, უმაშროების სახელმწიფო კომიტეტის მაიორს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს ორი უმაღლესი სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული — მოსკოვის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი (1934 წელს) და ამიერკავკასიის გზათა მიმოსვლის ინსტიტუტი (1938 წელს).

სამი ორდენისა და 14 მედლის კავალერი 83 წლის ასაკშიც დაუღალავად ზრუნავდა ახალგაზრდა მძლეოსნების აღზრდაზე, ერთთავად ჩვენი მძლეოსნობის წინსვლისთვის იღვწოდა.

საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტი, მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო, მძლეოსნობის უმაღლესი სპორტული დოსტატების რესპუბლიკური სკოლა.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 21 დეკემბერი. რიტმული ტანვარჯიში — **9.40 (1);** „სპორტლოტოს“ ტირაჟები — **10.10 (1);** საერთაშორისო ტურნირი ჰოკეიში გაზეთ „იზვესტიას“ პრიზზე: კანადა — ფინეთი — **14.00 (2),** სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია — **17.55 (1).**

საქართველოს ტელევიზია. 21 დეკემბერი. სპორტის მოყვარულთათვის. მე-13 მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: სსრ კავშირი — უნგრეთი — **13.40.**

საქართველოს რადიო. რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — **14.30.**

„ოქროს ბურთის“ ლაურეატები

ევროპის მოზამბიკელი მონარქი

„ერთხელ, ორშაბათს, როცა ჩვეულებრივ თავისუფალი დღე გვქონდა, მე, ჩემმა მეუღლემ ფლორამ, ჩემმა თანაგუნდელმა კოლუნამ და მისმა მეუღლემ ერთად ვისადილეთ. სადილის შემდეგ მანქანაში ჩავსხედით და შინისკენ გამოვემგზავრეთ. მხიარულად ვსაუბრობდით, რადიოდან ისმოდა სასიამოვნო საცეკვაო მელოდია. ცოტა ხანში მუსიკალური გადაცემა შეწყდა და უკანასკნელი ცნობების მორიგი გამოშვება დაიწყო. როცა ჯერი სპორტულ ინფორმაციაზე მიდგა, დიქტორმა გამოაცხადა „ფრანს ფუტბოლის“ ტრადიციული კონკურსის შედეგები, რომელსაც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი უნდა დაესახელებინა და... გაისმა ჩემი სახელი. ენით გამოუთქმელი გრძნობა დამეუფლა, პატარა ბავშვივით ავდელდი და ძლივს წავლელლელე, ეს ალბათ შეცდომაა-მეთქი...“

ეს არ იყო შეცდომა, 1965 წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად მართლაც ეუსებიო დაასახელეს. ზემოთ მოყვანილი ციტატა კი ამოღებულია ავტობიოგრაფიული წიგნიდან „ჩემი სახელია ეუსებიო“.

ეუსებიო და სილვა ფერეირა დაიბადა 1942 წლის 25 იანვარს პორტუგალიის ყოფილი კოლონიის — მოზამბიკის დედაქალაქ ლოურენსო მარკეშში (ღღეს — მაპუტუ). 16 წლისა ლოურენსო მარკეშის „სპორტინგის“ ძირითადი მოთამაშე და საუკეთესო ბომბარდირი იყო. პორტუგალიის უძლიერესი კლუბის „ბენფიკის“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა, როგორც კი ნახა ამ შავკანიანი ფეხბურთელის თამაში, მაშინვე კლუბის უფროს მწვრთნელს ბელა გუტმანს დაურეკა, უამბო ახალი „ვუნდერკინდის“ შესახებ და რამდენიმე დღის შემდეგ ლისაბონში ჩაუყვანა იგი. ეუსებიომ პირველივე ვარჯიშში მიიღო მონაწილეობა და ბელა გუტმანის დიდი მოწონება დაიმსახურა. მწვრთნელი იმდენად კმაყოფილი იყო ახალბედა ფეხბურთელის მომზადების დონით, რომ იგი პირდაპირ ძირითად შემადგენლობაში ჩარიცხა. ეუსებიოს „ბენფიკაში“ ჩარიცხვის დღიდან ერთი თვეც არ იყო გასული, რომ ლისაბონელებმა პირველად მოიპოვეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. ასე აღმოჩნდა 19 წლის მოზამბიკელი ჰაბუკი ევროპის უძლიერეს კლუბში.



„შავ მარგალიტს“ — ეუსებიოს „ოქროს ბურთით“ დაჯილდოებას ულოცავს წინა რეფერენდუმის ლაურეატი, შოტლანდიელი დენის ლოუ.

1962 წელს „ბენფიკამ“ ფინალში სლია მადრიდის „რეალს“ (5:3) და მეორედ დაისაკუთრა ჩემპიონთა თასი. ამ მატჩში ეუსებიომ ორი გოლი გაიტანა. მაღალი შედეგიანობა მისი თამაშის მანერის, უზადო ტექნიკის, თავბრუდამხვევი დრიბლინგის, შესაშური სისწრაფისა და ორივე ფეხით ძლიერი, ზუსტი დარტყმების ლოგიკური გაგრძელება, ამავე დროს, მთავარი და განუყოფელი ნაწილი გახდა, ეუსებიო ცხრაჯერ აღიარეს პორტუგალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირად, ორჯერ (1968 და 1973 წლები) დაიმსახურა „ოქროს ბურთის“ ლაურეატობა ეუსებიოს გარდა მხოლოდ დასავლეთგერმანელი გერდ მიულერი დაჯილდოვდა „ოქროს ბუცით“.

1966 წელს პორტუგალიის ნაკრებმა პირველად ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში. ინგლისში პორტუგალიელებმა მესამე ადგილი დაიკავეს მასპინძელთა და დასავლეთგერმანელთა გუნდების შემდეგ, რასაც დიდად შეუწყო ხელი ეუსებიოს ბრწყინვალე თამაშმა. რად ღირს თუნდაც მისი გოლების ფანტასტიკური ფოიერვერკი კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან მეოთხედფინალურ შეხვედრაში. 24-ე წუთისთვის პორტუგალიელები, რომელთა გუნდსაც სპეციალისტები უკვე ჩემპიონობის ერთ-ერთ ძირითად პრეტენდენტად მიიჩნევდნენ, აგებდნენ მატჩს ანგარიშით 0:3! ვინც შეხვედრის ბედი გადაწყვეტილად ჩათვალა, ვერ გაითვალისწინა, რომ პორტუგალიის ნაკრებს ჰყავდა „შავი მარგალიტი“ (ასე ეძახდნენ ჟურნალისტები ეუსებიოს). მან თითქმის შეუძლებელი შეძლო და ზედიზედ ოთხი გოლი გაიტანა, რამაც მატჩის ბედი პორტუგალიელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა (5:3). VIII მსოფლიო ჩემპიონატში ეუსებიომ სულ ცხრა გოლი გაიტანა და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის სახელიც დაისაკუთრა. 1966 წელს „ფრანს ფუტბოლის“ მორიგ კონკურსში იგი მხოლოდ ერთი (80-81) ქულით ჩამორჩა გამარჯვებულს — ინგლისელ ბობი ჩარლტონს და „ვერცხლის ბურთით“ დაჯილდოდა.

...თავისი კარიერის ბოლო წლები ეუსებიომ ამერიკის შეერთებული შტატების პროფესიულ კლუბებში გაატარა. შემდეგ იგი პორტუგალიაში დაბრუნდა და მწვრთნელად დაიწყო მუშაობა. ახლა იგი „ბენფიკაში“ კლუბის ახალგაზრდულ გუნდს ხელმძღვანელობს.

ერთ-ერთი ინტერვიუს დროს ბულგარელმა ჟურნალისტებმა ეუსებიოს ჰკითხეს: „კმაყოფილი ხართ იმით, რომ ფეხბურთელი გამოხვედით? ვაჟი რომ შეგეძინოთ, შეუწყობთ ხელს, რომ მანაც ფეხბურთს დაუკავშიროს ცხოვრება?“ ეუსებიომ უპასუხა: „კმაყოფილი კი არა, ბედნიერი ვარ! ჩემთვის ფეხბურთი მოწოდებაა. უფეხბურთოდ ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. თუ ვაჟი შემეძინა, ყველაფერს ვიღონებ, რომ პირველ ყოვლისა განათლება მიიღოს, შემდეგ კი აუცილებლად იქნება ფეხბურთი!“.

ზურაბ ფოცხვერია.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე



23-26 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში

ჩატარდება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ: **„დინამო“ (მოსკოვი), „სტროიტელი“ (კიევი), რტი (მინსკი), „დინამო“ (თბილისი).**

დასაწყისი 18 ს.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

თბილისის „დინამოს“ სპორტკომბინატი

აცხადებს მიღებას ჯანმრთელობის ჯგუფებში:

ძიუდო (10 წლისა და უფროსი ასაკი) გოგონებისათვის, **ძალისმიერი ათლეტური** მომზადება (ჭაბუკებისათვის და ვაჟებისათვის).

მეცადინეობა ძიუდოში იწარმოებს ყოველდღე 11-დან 13 საათამდე; ძალისმიერ ათლეტურ მომზადებაში ყოველდღე 12-დან 15 საათამდე (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 19 საათიდან).

ვარჯიშები ჩატარდება გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით.

ცნობებისათვის მიმართეთ: „დინამო“, სპორტკომბინატი, აკაწერეთლის გამზ. № 2, ტელ. 95-03-76.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელი“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„პირველ“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26.

ჩვენი ინდექსი: 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ანბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ნოშარულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 05975